პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 3 კაპ.

# წითელი არმიელი

1-ლ და მე-2 ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების ორგანო
გამოდის ხუთშაბათობით და კვირაობით. წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჯორჯიაშვილის (ყოფ. ბარიატინსკის) ქუჩა № 8.
დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ხელის მოწერის პირობები: ცალკე ხელის მომწერთათვის 1 თვით—35 კ., 3 თვით—90 კაპ. 6 თვ—1 მ. 70 კ. 12 თვ.—3 მ. 20 კ.
წითელ არმიელებისათვის კოლექტიური ხელის მოწერა: 1 თვით—30 კ. 3 თვით—80 კაპ. 6 თვით—1 მ. 50 კ. ერთი წლით 3 მან.
განცხ. ფასი 1 გვ.—80 კ. სტრ. მე-4-ზე—40 კ.

167 (1162) | კვირა, 31 ოქტომბერი 1926 წ. | (1162) 167

## მტკიცე ერთსულოვნებით.

მეთუთხმეტე პარტკონფერენციამ, რომელზედაც თავმოყრილია ჩვენი პარტიის საუკეთესო ნაწილი, საბჭოთა კავშირის საუკეთესო ლენინელები, ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საბჭოთა კავშირის მეურნეობა მტკიცე ნაბიჯით მიდის წინ სოციალისტური გზით. ჩვენი კავშირი თანდათანობით უახლოვდება იმ მიზანს, რომელიც დასახა ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ—სოციალისტურ მშენებლობას.

მეთუთხმეტე პარტკონფერენციამ სავსებით მოიწონა ის პოლიტიკა, რომელსაც ანხორციელებს პარტია შინაურ მშენებლობაში და საერთაშორისო მდგომარეობის შეფასებაში.

მეთუთხმეტე პარტკონფერენციამ აშკარად დაგვანახვა სრული იდეური გაკოტრება ეგრედ წოდებულ „გაერთიანებული ოპოზიციის“, რომლის სულის ჩამდგმელი „ბელადები“ ცდილობდენ დაერღვიათ მტკიცე და ურყევი კომუნისტური პარტია.

ვერც ერთმა ოპოზიციის წევრმა ვერ გაბედა გამოსულიყო პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ რაიმე დასაბუთებული კრიტიკული სიტყვით; ვერც ერთმა ოპოზიციონერმა ვერ გამოიჩინა მოქალაქეობრივი გამბედაობა დაეცვა ოპოზიციის შეხედულებანი.

ოპოზიცია სამუდამოთ გაკოტრდა. იგი დამარცხდა იდეურათ, რადგან მისი შეხედულება და შეფასება საერთაშორისო მდგომარეობის, ჩვენი მეურნეობის—იყვნენ სრულიად უსაფუძვლო.

მეთუთხმეტე პარტკონფერენციამ განაცხადა, რომ ჩვენმა მეურნეობამ მიაღწია სავსებით ომამდე არსებულ მდგომარეობას. ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის მუშების და გლეხების გაერთიანებული შრომით, მათი ძმური კავშირით ჩვენ შევძელით დაძლევა უდიდესი დაბრკოლებების და აღვადგინეთ შერყეული მეურნეობა.

მეურნეობის აღდგენა მიმდინარეობდა კაპიტალისტური ექსპლოატაციის გარეშე—სოციალისტური საშუალებებით. ამ აღდგენის პროცესში მშრომელმა მასამ შეიძინა ისეთი გამოცდილებები, რომლებიც გამოსადეგნი არიან შემდეგი შემოქმედებითი მუშაობისათვის.

კომუნისტური პარტიის წარსულმა მე-14 ყრილობამ აღიარა, რომ სოციალიზმის მშენებლობისათვის აუცილებელი საჭიროა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. მე-14 ყრილობის შემდეგ განვლილმა დრომ ნათლად დაგვანახვა, რომ ინდუსტრიალიზაციის საქმე დაყენებულია სწორედ და ამ დარგში გვაქვს კიდეც მნიშვნელოვანი მიღწევები. ჩვენ კავშირს საკმაოდ მოეძებნება კიდეც საჭირო საშუალებები ინდუსტრიალიზაციის განვითარებისათვის. ეს საშვალებებია: სახელმწიფო წარმოების შემოსავალი, შემოსავალი ჩვენი მეურნეობის სხვა დარგებიდან და მომჭირნეობის გზით დაგროვების მოხმარება.

ამ გზით ჩვენ მივაღწევთ უდიდეს შედეგებს და ჩვენი ზრდა იქნება უფრო ჩქარი, ვიდრე კაპიტალიზმის. ამით ჩვენი გამარჯვება აუცილებელია.

## სამხკორი და მომჭირნეობის რეჟიმი

ამ სათაურიდანაც სჩანს, რომ თემა არა ახალია. მაგრამ ის დიდხანს დარჩება როგორც მნიშვნელოვანი, საჭირო და საჭირ-ბოროტო თემა. ამიტომ საჭიროა ხშირად მოვიგონოთ სამხკორის ამოცანები მომჭირნეობის რეჟიმთან დაკავშირებით.

მომჭირნეობის რეჟიმი ჩვენს ნაწილებში ტარდება კარგა ხანია. არის ერთგვარი მიღწევებიც. მაგრამ როგორ ვმომჭირნეობთ, რაში და რა სახით,—ამის შესახებ ძალიან ცოტას სწერენ ჩვენი კორესპონდენტები.

ძალიან იშვიათად მოდის რედაქციას წერილები ნაწილებიდან ამ საკითხის შესახებ, რომლებიც აშუქებდენ სამნეო კომისიების მუშაობას.

კორესპონდენციების მიხედვით სჩანს, რომ ზოგიერთ სამხკორს ვერ გაურკვევია კარგად მომჭირნეობის რეჟიმის თვით შინაარსი, ამ ლოზუნგის რაობა.

იწერება წერილები სამეურნეო დარგში ნაკლის შესახებ, მაგრამ არ არის საქმიანი წინადადება,—სახელდობრ რა და როგორ უნდა გაკეთდეს, რომ ეს ნაკლი თავიდან აშორებულ იქნას.

უეჭველია ასეთი ცნობებიც სასარგებლოა. მაგრამ მეტი სასარგებლო იქნებოდა ცნობები პრაქტიკული წინადადებით.

სამხკორთა წრეებმა უნდა იმუშავონ ამ მიმართულებით, რათა ამაღლებულ იქნას კორესპონდენციების ხარისხი ამ დარგში, უნდა აუხსნან სამხკორებს პრაქტიკული ამოცანები თავისი ნაწილის მომჭირნეობის რეჟიმისა და სხვა.

ეს ერთი.

მეორე ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ საჭიროა გამოცდილებათა გაზიარება. მთავარია გაზეთს ჰქონდეს მასალა არა მარტო იმის შესახებ, რომ ამა თუ იმ წითელ არმიელმა შესძლო სხვაზე უფრო ხანგრძლივად შეენახა ფეხსაცმელი, არამედ ცნობაც იმის შესახებ, რომ როგორ უფრთხილდებოდა ის ამ ფეხსაცმელებს.

საინტერესოა არა მარტო ის, რომ ამა და ამ ასეულმა შემოიღო მომჭირნეობით ღუმელების თბობის ხერხი, არამედ ისიც, თუ რაში მდგომარეობს ეს ხერხი. როგორ უნდა იქნას შენახული მწვანილი, რომ დიდხანს ინახებოდეს, როგორ უნდა გაკეთდეს ერთი და იმავე პროდუქტებიდან დაუმატებლად გემრიელი სადილი,—ყველაფერი ეს მნიშვნელოვანი და საინტერესოა გაზეთისთვის.

აქ ბევრი მასალის მოწოდება შეუძლია ჩვენს უმცროს სამნეო მუშაკებს, ხოლო იმათგან კი ძალიან ცოტა სწერს გაზეთში.

ბოლოს, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მდგომარეობა. საჭიროა გაზეთში გაშუქებულ იქნას მომჭირნეობის დარგის მიღწევები დივიზიების ფარგლებში. აქ ნაწილების სამხკორები ბევრს ვერაფერს გააკეთებენ. მათთვის ასეთი ამოცანა ძნელი იქნება. ამიტომ საჭიროა მასალები სამეურნეო დარგის უფროს მომუშავეთაგან.

ვ—ი.

## ბრძოლა ჩინეთში

### უპეი-ფუ შეტევაზე გადადის

უ-პეი-ფუს ჯარების წინსვლას ხელს უშლის გენერალ ფან-ნიუს რაზმები. ფან-ნიუ სუნიატ-სენის თანამებრძოლია, რომელიც ხელმძღვანელობდა წითლების პარტიზანულ ომს უ-პეი-ფუს წინააღმდეგ.

— კანტონის ჯარების წინსვლა ფუ-საზიანში წარმატებით მიდის.

### უ პეი-ფუმ უარი განაცხადა დახმარებაზე

როგორც იტყობინებიან უ-პეი-ფუმ კატეგორიულად უარი განაცხადა ჩან-ძო-ლინის წინადადებაზე ჯარების გაგზავნით დახმარების შესახებ.

## ძმური დახმარება გაფიცულებს

იტალიაში ფაშისტურ ხელისუფლებამ აკრძალა შეწირულებათა დაგროვება ინგლისის გაფიცულ მუშათა სასარგებლოდ, მაგრამ იტალიის მუშები ფარულად განაგრძობენ დახმარებას. კომუნისტურ გაზეთ „უნიტას“ რედაქციას მისდის ათასობით უსახელო შეწირულება ლოზუნგებით:

„გაუმარჯოს ლენინს“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს“. „მთამადნის მუშებო არ დანებდეთ“ და სხვა.

## ვრანგელი საპნის ბუშტებს ბერავს

საზღვარგარეთ მყოფი რუსი თეთრგვარდიელები ცდილობენ, მიჰყიდონ პოლონეთსა და ბალტიის სახელმწიფოებს სამხედრო იარაღი.

სექტემბერში ვრანგელის წარმომადგენელი აწარმოებდა მოლაპარაკებას პოლონეთსა და ლატვიასთან, ზარბაზნებისა და ჰურვების მიყიდვის შესახებ. იტყობინებიან აგრეთვე, რომ ვრანგელმა წინადადება მისცა ლატვიის სამხედრო წრეებს, რომ თუ ვინიცობაა პოლონეთმა ომი გამოუცხადა ს. ს. რ. ს. შედგენილი იქნას თეთრგვარდიელთა რაზმები, რომლებიც ლატვიაში თავდასხმებს მოაწყობენ წითელი არმიის ზურგის ნაწილებზე. მოლაპარაკება ამ საქმეზე ჯერ კიდევ არ დამთავრებულა.

## ახალი სესხი საბჭოთა კავშირს

[illegible] გერმანიის მრეწველებმა მისცეს საბჭოთა კავშირს სესხი 3,000 მილიონი მარკის (1-მარკა უდრის 37 კაპ). რაოდენობით.

როგორც გადმოგვცემენ ახლო მომავალში სესხი გადიდებული იქნება 230 მილიონ მარკით. ახალი სესხი მოცემული იქნება 4 და 2 წლის ვადით. საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის ცნობით ბერლინში 300 მილიონიან სესხის ანგარიშში საბჭოთა დაკვეთა უდრის 100 მილიონ მარკას.

## საქართველოში.

### მოსავლის დღე

ტყვიავში (გორის მაზრა) ჩატარებულ იქნა „მოსავლის დღე“ დილიდანვე სოფელმა სადღესასწაულო სახე მიიღო.

ქოხ-სამკითხველოების მახლობლად მოწყობილ იქნა სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. კლუბში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელზედაც წაკითხულ იქნა ლექცია სასოფლო მეურნეობაზე, რომელმაც დიდძალი გლეხობა მიიზიდა.

შემდეგ გაიხსნა სამაზრო ალმასკომის ხილის სახმობი ფაბრიკა.

ფაბრიკის გახსნაზე წაკითხულ იქნა ლექცია მავნებლებთან ბრძოლის შესახებ. საღამოს გაიმართა საჩვენებელი აგრონომიული გასამართლება ტყვიავის გლეხ წიკაიძის ბაღის ცუდათ მოვლის გამო.

სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე 22 გლეხს მიეცა ჯილდოს სახით საჩუქარი—სასოფლო სამეურნეო წვრილი იარაღები.

## სკპ(ბ) მე-15 კონფერენცია

### ამხ. ბუხარინის საბოლოო სიტყვა.

ამხ. ბუხარინი კვლავ შეჩერდა კაპიტალიზმის სტაბილიზაციაზე (მომაგრებაზე) და აღნიშნა მიზეზების მთელი რიგი, რომლებიც ამ მომაგრებას ძირს უთხრიან. ეს მიზეზებია: საბჭოთა კავშირის ზრდა და ზრდა სოციალისტური საწყისების ჩვენს ქვეყანაში, ჩინეთის რევოლუცია, ინგლისის გაფიცვები და სხვა. ერთი უმთავრესი [illegible]—ამბობს ბუხარინი—ეს არის ბრძოლა ომის საფრთხის [illegible] წინააღმდეგ. მაგრამ აქ წარმოებული უნდა იქნას ბრძოლა ომის მზადების წინააღმდეგ როგორც კაპიტალისტური სახელმწიფოების შორის, ისე კაპიტალისტურ ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირს შორის.

დასასრულ ამხ. ბუხარინი შეჩერდება ინგლისის მუშათა გაფიცვებთან დაკავშირებულ საკითხზე. ის ამბობს, რომ ინგლისის მთა-მადნის მუშები რომც დამარცხდენ, ეს გაფიცვა მაინც დიდ გავლენას მოახდენს მუშათა კლასის რევოლუციურობაზე მთლიანად.

### რეზოლუცია ამხ. ბუხარინის მოხსენების გარშემო.

ამხ. ბუხარინის საბოლოო სიტყვის შემდეგ კონფერენციამ ერთხმად (თავი არავის შეუკავებია) მიიღო რეზოლუცია და საპასუხო მისალმება გერმანიის კომპარტიისადმი.

რეზოლუციაში ნათქვამია: მე-15 პარტკონფერენცია მთლიანად იწონებს სკპ(ბ)-ს დელეგაციის ძირითად ხაზს და მის მუშაობას კომუნისტურ ინტერნაციონალში.

კონფერენცია გადაჭრით ჰგმობს ოპოზიციის ფრაქციულ და ლენინის საწინააღმდეგო მუშაობას კომუნისტურ ინტერნაციონალში.

კონფერენცია სავსებით უერთდება მოძმე კომპარტიების, სკპ(ბ)-ს ცეკასა და ცენტრალ. საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებებს ამხ. ზინოვიევის კომინტერნში მუშაობიდან გათავისუფლების შესახებ.

გერმანიის კომპარტიისადმი მისალმებაში ნათქვამია:—გაერთიანებული ოპოზიცია სკპ(ბ)-ში სასტიკად დამარცხდა და პარტიული მასების ზეგავლენით ოპოზიციის ბელადებმა თვითონვე დაჰგმეს თავიანთი საქციელი.

ჩვენ არ ვეჭვობთ, რომ გერმანიის კომუნისტური პარტია [illegible] თავის რიგებში [illegible] შემთანხმებლების და თვით ოპოზიციის დამარცხება და უკიდურეს მემარცხენე ჯგუფების ლიკვიდაცია [illegible] კომპარტიის [illegible] ლენინურ მთლიანობას კომინტერნში და [illegible] საერთაშორისო ბოლშევიზმი-

საწინააღმდეგო ფრაქციის შექმნის ცდებს.

საღამოს სხდომაზე, ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. რიკოვი, რომლის მოხსენებაც სამი საათი გაგრძელდა.

ამხ. რიკოვმა მოიყვანა მეტად საინტერესო და ახალი ციფრები გლეხობის [illegible] დაყოფისა, საიდანაც სჩანს, რომ საშუალო გლეხობის [illegible] და [illegible] ფენებმა [illegible] მდგომარეობა, [illegible] პროცესი [illegible] მიდის [illegible] კაპიტალისტურ [illegible] და ბიბოლების ერთგვარი ფენების წარმოშობა.

ამხ. რიკოვი შეჩერდა აგრეთვე კერძო კაპიტალის საკითხზე.

დასასრულ ამხ. რიკოვი ამბობს, რომ ოპოზიცია ურწმუნოებას გამოსთქვამს რევოლუციის ძლიერებაში და ეს აიძულებს მათ ილაპარაკონ პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებელ დამარცხებაზე ახლო მომავალში. ისინი ამას ამბობდენ 1923 წლის ოქტომბერში, იმათ ეს გაიმეორეს 1926 წლის აპრილში, ისინი ამას ამბობენ ეხლაც.

### კამათი ამხ. რიკოვის მოხსენების გარშემო.

28 ოქტომბერს დღისა და საღამოს სხდომაზე გაიმართა კამათი ამხ. რიკოვის მოხსენების გარშემო. ამხ. ლუნაჩარსკი თავის საინტერესო და საქმიან სიტყვაში შეეხო კულტურულ და ტეხნიკურ დონის ამაღლებისა და მსხვილი მრეწველობის აღმშენებელთა კადრის აღზრდის აუცილებლობას.

ამხ. ლუნაჩარსკიმ მოიყვანა ზოგიერთ სწავლულთა და მეცნიერების წარმომადგენელთა შეხედულებანი, რომლებიც თანაგრძნობით უყურებენ საბჭოთა ხელისუფლებისა და კომპარტიის მუშაობას და მოუწოდა კონფერენციას დიდი ყურადღება მიაქციოს კულტურულ, მეცნიერულ ძალებს და განათლების სახალხო კომისარიატს, რომლის დანიშნულებაა ხალხი შეაწყოს ჩვენი ქვეყნის [illegible].

ამ საკითხზე არც ერთ ოპოზიციონერს არაფერი უთქვამს, თუმცა ეკონომიურ პოლიტიკის შესახებ [illegible] ოპოზიცია [illegible] კონფერენციაზე ამ პლატფორმის დაცვა [illegible].

ოპოზიციონერებს არ აქვთ უთქვამთ არაფერი არც საერთაშორისო პოლიტიკისა და არც სამეურნეო საკითხების შესახებ.

# რევოლიუციონური კომიტეტის ბრძანება

ამხ. ფრუნზეს გარდაცვალების წლის თავზე სამხედრო—რევოლიუციონურმა საბჭომ ამხ. ვოროშილოვის ხელისმოწერით გამოაქვეყნა ბრძანება, რომელშიაც ნათქვამია:

„31 ოქტომბერს შესრულდება ერთი წელიწადი მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის მუშებმა და გლეხებმა დაჰკარგეს ერთი საუკეთესო ბელადთაგანი და წითელ არმიის ერთი საუკეთესო ორგანიზატორთაგანი — საყვარელი ამხ. ფრუნზე. ამხ. ფრუნზეს იდეურ ხელმძღვანელობით ჩვენი სამხედრო აღმშენებლობის ტერიტორიალურ მილიციურმა სისტემამ მიიღო თავისი დამთავრებული სახე; მისი ინიციატივითა და მისი უშუალო მონაწილეობით ბრწყინვალედ ჩატარდა წითელი არმიის რეორგანიზაცია და განმტკიცდა მისი ძლევა—მოსილება; მისი დაჟინებითი მოთხოვნილებით წამოყენებული იქნა საკითხი იმის შესახებ, რომ მოსახლეობის მასები უნდა იქნან ჩაბმული სამხედრო აღმშენებლობის საქმეში და დასახულ იქმნა კონკრეტიული ღონისძიებანი ამ მეტად რთული ამოცანის შესასრულებლად.

წითელი არმია, რომელიც გაიზარდა და გამაგრდა, ისევე მტკიცედ იდგომება საბჭოთა რესპუბლიკების დაცვის სადარაჯოზე, როგორც განსვენებული ფრუნზეს მეთაურობის დროს.

# ოქტომბრის რევოლიუციის მე-9 წლის ჩატარების გეგმა.

### ცენტრალური კომისია.

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ოქტომბრის რევოლიუციის მეცხრე წლის თავის კომისიის შემადგენლობა. კომისიის თავმჯდომარედ ამხ. თოდრია, წევრებად: ამხ. ამხ. თათარიშვილი, ახრიბეკოვი, მაჭავარიანი, სიხარულიძე, ხითაროვი, მაშკევიჩი, ჩერქეზიშვილი და სიხარულიძე.

საქ. ცაკის პრეზიდიუმის მიერ მიღებულია ოქტომბრის დღესასწაულის ჩატარების შემდეგი წესრიგი:

### ქალაქებში

6 ნოემბერს საღამოთი იმართება ქალაქის საბჭოების გაერთიანებული საზეიმო სხდომები მუშათა, სამხედრო, პარტიულ და კომკავშირის ორგანიზაციებთან ერთად.

7 ნოემბერს დილით იმართება დემონსტრაციები, მანიფესტაციები, სამხედრო ნაწილების აღლუმები, მოწაფეთა, პიონერთა, ფიზკულტურის წევრთა და კომკავშირელთა დღესასწაული.

საღამოთი მოხსენებები კლუბებში ოქტომბრის რევოლიუციის შესახებ, უფასო წარმოდგენები, კინო და სხვა გასართობი.

### სოფლებში

კვირას, 7 ნოემბერს იმართება სათემო და სასოფლო საბჭოების საზეიმო სხდომები მოხსენებებით, მილოცვებით, სიტყვებით ადგილობრივი ორგანიზაციებისა და სამოქალაქო და სამხედრო შეფ-ორგანიზაციების დელეგაციების მონაწილეობით, ეწყობა აგრეთვე სახალხო თამაშობა, ფიზკულტურის წევრთა გამოსვლა, დოლი, ლელო, კავკასიური ჭიდაობა და სხვა.

### კომისიები ადგილებზე

აფხაზეთის მოკავშირე რესპუბლიკაში, აჭარისტანის ავტონომიურ რესპუბლიკაში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში ეწყობა კომისიები შემდეგი შემადგენლობით:

1. კომისიის თავმჯდომარედ-ცაკის თავმჯდომარე. წევრებად—საოლქო კომიტეტის მდივანი, სააგიტაციო და ქალთა განყოფილების, კომკავშირის, ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციების, განათლების განყოფილების, პოლიტგანათლების, პროფკავშირის და სამხედრო ნაწილების წარმომადგენელნი.

მაზრებში ეწყობა კომისიები შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარედ—სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე, წევრებად: სამაზრო აღმასკომის მდივანი, სააგიტაციო და ქალთა განყოფილებების, კომკავშირის, ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის, განათლების განყოფილებას, პოლიტგანათლების, პროფბიუროს და სამხედრო ნაწილების წარმომადგენელნი.

თემებში ეწყობა კომისიები შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარედ — თემ-აღმასკომის თავმჯდომარე, წევრებად: პარტკომის მდივანი, კომკავშირის, ახალგაზრდა პიონერების, პროფბიუროს, მასწავლებელთა, გლეხთა, მიწა-ტყის კავშირის და სამხედრო ნაწილების (თუ არის თემის რაიონში) და დელეგატ ქალთა წარმომადგენელნი.

# პოლონეთის ჯავშნოსანი ძალები

ჯავშნოსან ძალების საკითხს პოლონეთი დიდ ყურადღებას აქცევს. ის ადიდებს ჯავშნოსან ნაწილების რაოდენობას და აუმჯობესებს ჯავშნიან მანქანების ხარისხს.

პოლონეთის ჯავშნოსანი ძალები შესდგება ტანკების, ჯავშნიან ავტომობილების და მატარებლების ნაწილებისაგან. არმიის შედგენის დროს საფრანგეთმა უფეშქაშა პოლონეთს 150-დე ტანკა „რენოს“ სისტემისა. ამას გარდა მოკავშირეებმა მას გადასცეს ათი გერმანული მძიმე ტანკი. მაგრამ პოლონეთი ამით არ დაკმაყოფილდა და ის განაგრძობს მსუბუქი ტანკების ყიდვას საფრანგეთიდან. ამ ჟამად პოლონეთს ჰყავს 200-დე ტანკა.

რაოდენობის გადიდებასთან ერთად პოლონელები სცდილობენ ტანკების სისტემის გაუმჯობესებასაც.

პოლონეთს ჰყავს ერთი ტანკის ლეგიონი სამი ათასეულის შემადგენლობისა. ათასეული შესდგება: 3 საბრძოლო ასეულისაგან, სარეზერვო ოცეულისაგან, ერთი რადიო ტანკისა და „სარემონტო“ სახელოსნოსაგან.

ასეულში შედიან: ასეულის მეთაურები, სატელეფონო „პატრული“ და სამი ოცეული ორ-ორი ტანკით.

ლეგიონში არის სათადარიგო ათასეული და ცენტრალური სკოლა ტანკის ნაწილების ოფიცრებისა და უნტეროფიცრების მოსამზადებლად, და 2 თვიანი კურსები, სადაც მიავლენენ ტანკის საქმის გასაცნობად სხვა გვარი იარაღის ოფიცრებსა და უნტეროფიცრებს.

ჯავშნიანი ავტომობილები დარჩათ პოლონელებს იმპერიალისტურ ომების შემდეგ რუსეთის, გერმანიის და ავსტრიის არმიებისაგან.

მანქანების უმეტესობა გაცვეთილი და მოძველებული ტიპისაა.

საფრანგეთი ამარაგებს პოლონეთს ახალი მანქანებით. პოლონეთს დიდი ხანია სურს შეჰქმნას ჯავშნიან ავტომობილებზე მოძრავი ჯგუფები, რომლებიც შესძლებენ მოქმედებას ფრონტებზე ცხენოსნებთან ერთად.

ამ ჟამად პოლონეთის ცხენოსანი ჯარი მოწყობილია ასეთი ჯგუფებით. ამ ჯგუფებს ეწოდება „ჯავშნოსანი ესკადრონები“. ისინი ორი ტიპისაა: ჯავშნოსანი ესკადრონი დივიზიის და ჯავშნოსანი ესკადრონი, რომელიც შედის ცალკე ცხენოსან ბრიგადის შემადგენლობაში.

ჯავშნოსან ესკადრონის შეიარაღებაში შედიან მანქანები ტყვიამფრქვევებითა და ზარბაზნებით. სდგება ჯავშნოსანი ესკადრონი ცხენოსნებით. მეთაურთა შემადგენლობა გადის 6 თვიან კურსს, სადაც ის ეცნობა ყოველმხრივ ჯავშნოსან ავტომობელის საქმეს.

არის აგრეთვე ოთხთვიანი კურსი უმცროს მეთაურთა შემადგენლობისათვის. ჯავშნიანი მატარებლები 50-დე დარჩა პოლონეთს მის ტერიტორიაზე მებრძოლ არმიებისაგან. არის ორი ჯავშნოსანი მატ. დივიზიონი. ამათგან ერთი წარმოადგენს სამოსწავლოს და შედის რკინის გზის ლეგიონის შემადგენლობაში. ჯავშნოსნები(მატარებლების) შეიარაღებაში შედიან ტყვიამფრქვევები, მსუბუქი საველე ქვემეხები და გაუბიცები.

პ. ქ.

# მეფისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ.

### (ოქტომბრის რევოლიუციის წლის თავის წინ)

### ლენინი თებერვლის რევოლიუციის შესახებ.

მეფის რეჟიმსა და წესწყობილებას ისე გამოალპა საძირკველი, რომ ის დაინგრა ერთი ძლიერი ბიძგით.

1917 წლის თებერვალში ლენინგრადის მუშები აჯანყდენ პურის, ზავისა და თავისუფლებისთვის. სალდათები შეუერთდენ მუშებს. ნიკოლოზ მეფე, რომელიც გაიქცა ცარსკოე სელოდან სტავკაში, დააპატიმრეს გზაში რკინისგზელებმა და 1917 წ. 2 მარტს იძულებული შეიქნა უარი განეცხადებია ტახტზე.

ამ რიგად, რაღაც 2—3 დღის განმავლობაში თითქმის უსისხლოდ მოხდა თებერვლის რევოლიუცია.

ამ დღეებში ამხ. ლენინი სწერდა:

„ . . . იმისათვის, რომ მეფის თვითმპყრობელობა დაცემულიყო რამოდენიმე დღეში, საჭირო იყო მთელ რიგ მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის პირობების შეუღლება.

„ . . . რომ 1905 წლის რევოლიუცია არ მომხდარიყო, შეუძლებელი იქნებოდა 1917 წელში ასეთი სწრაფი რევოლიუცია. 1905 წლის რევოლიუციამ ღრმად მოხნა ნიადაგი, შეარყია ძველი ქვეყნის საფუძვლები, გამოაღვიძა პოლიტიკური ცხოვრებისა და ბრძოლისთვის მუშათა და გლეხთა მილიონები...

„ . . . პირველმა რევოლიუციამ და მას შემდეგ მოყოლილ კონტრრევოლიუციონურ ეპოქამ (1907—1914 წ.) მზის შუქზე გამოიტანა მეფის მონარქიის სიდამპლე, გამოამზეურა მეფის „შაიკის“ გარყვნილება საარაკო რასპუტინის მეთაურობით, მთელი სიმხეცე რომანოვთა ოჯახის და სხვა...

„ . . . მსოფლიო ისტორიის არაჩვეულებრივ დაჩქარებას გარდა, საჭირო იყო მისი უეცარი მობრუნება, რათა ამ მობრუნების დროს რომანოვების მონარქიის სიბინძურით გასვრილი ეტლი ერთბაშათ გადაბრუნებულიყო... აი ამ ძლიერ დამაჩქარებლად გამოვიდა მსოფლიო იმპერიალისტური ომი“.

### ომმა აავსო მოთმინების ფიალა.

იმპერიალისტურმა ომმა, რომელიც დაწყებული იყო ბურჟუაზიისა და მეფეების მიერ უცხო ბაზრების, მიწების და კოლონიების დაპყრობისთვის აავსო მშრომელთა მოთმინების ფიალა.

ომმა, რომლითაც სუქდებოდა კაპიტალისტები, მოუტანა კაცობრიობას დიდი უბედურება. მსოფლიო ომში მონაწილე სახელმწიფოებმა დაჰკარგეს: 9.500.000 მოკლული, ათი მილიონი დარჩა დასახიჩრებული, 16 მილიონი დაჭრილი.

9 მილიონ ნახევარი მოკლული! ყველას არ შეუძლია წარმოიდგინოს, თუ რას ნიშნავს ეს ციფრი. მაგალითად, რომ დავაწყოთ გვამები გვერდათ პარიზიდან ვლადივასტოკამდი, ე. ი. მთელ ევროპასა და აზიაში, ამას მოუნდებოდა მხოლოდ 7 მილიონი გვამი.

ყველა სახელმწიფოებმა დახარჯეს ომზე 330 მილიარდი მანეთი. ერთ წამში იხარჯებოდა ორი ათას ხუთასი მანეთი.

მრეწველობა და სასოფლო მეურნეობა დაეცა.

სიმშილმა სასტიკად ჩასჭიდა ხელი ყველა ქვეყნებს. იზრდებოდა სიძვირე. გერმანიაში სიმშილისაგან გარდაიცვალა 800 ათასამდე კაცი. მრეწველობის რღვევამ წარმოშვა უმუშევრობა.

ხოლო კაპიტალისტების მოგება ზღაპრულად იზრდებოდა. მაგ. გერმანიის ქიმიურ ქარხნების პატრონები 1913 წელში ღებულობდენ 18 პროცენტ მოგებას, ხოლო 1915 წელში—90 პროცენტს.

მდიდრები ასჯერ და ათასჯერ უფრო გამდიდრდენ, ხოლო ღარიბები სრულიად გაღატაკდენ. დიდი უფსკრული გაითხარა კლასებს შორის. ყველგან დაიწყო გაძლიერებული რევოლიუციონური მოძრაობა. 3 წლის ომის შემდეგ მშრომელებმა გადასწყვიტეს გასწორებოდენ თოფებით მათი უბედურების დამნაშავეებს.

დაიწყო რუსეთმა. სისხლიანმა ნიკოლოზმა წააგო თავი და კორონა თავისი დანაშაულის გამო.

### მეფეს მემამულეებიც მიჰყვა

მისი ხელიდან გავარდნილ ძალაუფლებას ხელი მოჰკიდეს ბურჟუაზიამ და მენშევიკებმა. შესდგა დროებითი მთავრობა.

მაგრამ რა გააკეთა მან? მან განაგრძო მეფის საქმე. ომი გაგრძელდა. რღვევა იზრდება. სიმშილი და სიღარიბე სასტიკად დააწვა მშრომელებს, ხოლო მემამულეები და ფაბრიკანტები კვლავ ხელს ითბობდენ ხალხის უბედურებაზე.

საჭირო იყო მეორე რევოლიუცია და 1917 წ. 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს), თებერვალში დაწყებული საქმე მიყვანილ იქნა ბოლომდი. მუშებმა გლეხებთან კავშირში, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ლენინის შთაგონებით ჩამოაგდეს კაპიტალისტები და მემამულეები და დაამყარეს საბჭოთა მუშურ-გლეხური ხელისუფლება, რომლის მე-9 წლის თავს ჩვენ 7 ნოემბერს ვდღესასწაულობთ.

პ. ს.

# სამხედრო საქმე

## შეისწავლე მარჯვე სროლა.

### ახალწვეულო, შენ უნდა გახდე სამაგალითო მსროლელი.

ხუთი ტყვიიდან რომ ერთი მოახვედრო ნიშანში, ეს ხომ სროლის ცოდნა არაა. ერთი ტყვია შემთხვევითაც კი მოხვდება.

მარჯვე სროლისათვის საჭირო არაა რაიმე განსაკუთრებული ნიჭი.

სროლის სიმარჯვე დამოკიდებულია ბევრ მიზეზზე და, პირველყოვლისა ხელის სიმაგრეზე და თვით მსროლელის თვალზე.

უნდა ავღნიშნოთ, რომ ცუდი მსროლელი თვითეულ გასროლის დროს დიდხანს ეძებს ნაშანსა და კორას ჰრილს.

რასაკვირველია, გასროლისთვის ხანგრძლივი მომზადების შემდეგ შეიძლება კარგად მოემზადო და მოახვედრო მიზანში. მაგრამ ამას ხომ მნიშვნელობა არ აქვს. შემდეგი გასროლისათვის მსროლელი უკვე ვეღარ შესძლებს ისე კარგად აიღოს შაშხანა, როგორც პირველად. ან შაშხანას დააგვერდებს, ან კონდახს ვერ მიიდგამს მხარში როგორც უნდა და სხვა. შედეგად მეორე ტყვიას ააცდენს მიზანს.

როცა მსროლელი ყოველთვის ერთნაირად და მაგრად აიღებს შაშხანას, ერთნაირად დაუმიზნებს, ყოველთვის მისი ტყვია მიაღწევს დანიშნულ წერტილს. ამასთან თვითეული შაშხანა განირჩევა ერთი მეორისაგან. ყველა შაშხანებიდან აწარმოებენ გასროლას და ამრიგად ასწორებენ მათ.

როცა მსროლელი ცუდად იცნობს თავის შაშხანას, არ უწევს ანგარიშს საჭირო შესწორებებს, ყველა მისი გასროლა უმართებულო იქნება და თუ რომელიმე ტყვია მიზანში მოხვდა, ეს იქნება შემთხვევითი მოხვედრა.

როგორ უნდა გამოიმუშავოს მსროლელმა თავისთავში დაჩვევა, რომ ერთნაირად და სწორად დაუმიზნოს შაშხანა და ანგარიში გაუწიოს ყოველთვის შაშხანის თავისებურებას?

ეს ძნელი საქმე არაა. საჭიროა რაც შეიძლება ხშირად, არა ნაკლებ 5—10 წუთისა ყოველდღიურად, ვარჯიშობა დგომელა დამიზნებაში.

უნდა მიაკრა ფანჯრის მინაზე პატარა ქაღალდის სამკუთხედი. ჯერ ნელ ნელა დამიზნებას უნდა შეეჩვიო და ყოველთვის უნდა ეცადო სწორად აიღო შაშხანა და სწორად დაუმიზნო. ამრიგად, ყოველდღიური ვარჯიშობით, თანდათანობით უნდა ეცადო ჩქარ და სწორად დამიზნებას.

მსროლელი.

# რა უნდა იცოდეს მეტყვიამფრქვევე მეომარმა.

ძველი არმიის მემკვიდრეობიდან დღემდის დარჩენილა ჩვენში აღმოუფხვრელად დაყოფა: შენ მსროლელი ხარ, მე—მეტყვიამფრქვევე. ასეთ შეხედულებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს წითელი არმიის რიგებში. ამ ჟამად არ უნდა იყოს დაყოფა—მსროლელი, მეტყვიამფრქვევე. საბრძოლო გარემოება მოითხოვს მსროლელისაგან ტყვიამფრქვევის ცოდნას (მეტყვიამფრქვევებს), ხოლო მეტყვიამფრქვევესაგან მსროლელობას.

ასეულის ორგანიზაცია ჩვენ შევისწავლეთ, მაგრამ მის პრაქტიკულ გამოყენებისთვის ბრძოლაში საჭირო იქნება დიდი და რთული მუშაობა.

აქ შევჩერდეთ მეტყვიამფრქვევე მეთაურისა და წითელარმიელის საბრძოლო მომზადებაზე, რაზედაც ბევრი რამაა დამოკიდებული. არ კმარა მარტო ცოდნა ყველა სისტემის ტყვიამფრქვევებისა და ავტომატების მატერიალური ნაწილების ცოდნა. საჭიროა მათი გამოყენების ცოდნა.

თუ მსროლელი ასეულის ძალა არ გეცოდინება, ძნელი წარმოსადგენია მისი ძალა და გამძლეობა ბრძოლაში. მეომარ-მეტყვიამფრქვევეს მომზადება უსათუოდ დიდ დროს მოითხოვს, ვიდრე მსროლელის მომზადება.

თუ რომ მსროლელის მომზადება მოითხოვს 6 თვეს, მეტყვიამფრქვევისთვის საჭიროა 1—2 წელი.

ვინც ყოფილა მეტყვიამფრქვევედ ბრძოლებში, იცის თუ რა ძვირფასია იცოდე ყველა იარაღების თვისება და მათი მოხმარა. ცეცხლის ასეული ბრძოლაში უფრო აამაღლებს მოთხოვნილებებს ამ ცოდნისადმი. იმავ დროს, უფპოლიტშემადგენლობაც სუსტად იცნობს ავტომატიურ იარაღებს. ამათგან თითქმის ნახევარს არც კი შეუსწავლია ტყვიამფრქვევი და ავტომატები. ზამთრის პერიოდში უფპოლიტშემადგენლობამ უნდა ჩაითვალოს თავის მოვალეობად ტყვიამფრქვევის კარგად შესწავლა. ეს ამოცანა უსათუოდ ასრულებულ უნდა იქნას.

ა. კ—ი.

# მორიგე და მისი უფლებები

ხმაურობა და უწესრიგობა ყაზარმაში, დღიურების უყურადღებო სამსახური—ყველაფერი ეს აიხსნება მორიგეს სუსტი მუშაობით.

მაგრამ ხშირად დამნაშავეა არა მარტო მორიგე, არამედ დამნაშავე ვართ თვითონ ჩვენ, რომლებიც ვაყენებთ მას ასეთ მდგომარეობაში.

შინა სამსახურის წესდების მიხედვით, ასეულის მორიგე არის ასეულიდან წასულ მეთაურთა შემადგენლობის მოადგილე და მის განკარგულებას უნდა დაემორჩილონ უმცროსი მეთაურები. ტარდება თუ არა ეს ცხოვრებაში? არა. უმცროსი მეთაურები თვითონვე უშლიან ერთმანეთს მუშაობას; თუ რომ მორიგე მოითხოვს მათგან წესრიგის დაცვას, ისინი დასცინიან მას, არ ასრულებენ მის განკარგულებებს და ესიტყვებიან.

— ტყვილა იჭიმები მორიგეობას გაათავებ, ხოლო ხვალ ისევ ათეულის უფროსი იქნები, ასე ეუბნებიან ხშირად მორიგეს და ავიწყდებათ, რომ ისინიც დღეს თუ ხვალ ისეთივე მორიგე იქნებიან და სამსახური მოითხოვს მათგან მოვალეობათა მტკიცედ ასრულებას.

როცა მეთაურებიდან ასეთ მაგალითს დაინახავენ, წითელ არმიელებიც აღარ გაუგონებენ მორიგეს. შედეგათ მორიგე ვეღარ აასრულებს თავის საქმეს როგორც რიგია და ასრულების სურვილიც დაეკარგება, ვინაიდან ხედავს, რომ მას არავინ არ ეხმარება.

ამ სამოსწავლო წელში ამ საკითხს სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. პირველ ყოვლისა საშუალო მეთაურთა შემადგენლობა უნდა სცდილობდეს, რათა ყველამ აასრულოს წესდება, და რაც მთავარია, უმცროსი მეთაურები უნდა სცდილობდენ მორიგის ავტორიტეტის გაძლიერებას.

თვით მორიგეები ბოროტად არ უნდა იყენებდენ თავიანთ მდგომარეობას. ზოგიერთები იწყებენ უფლებების ფარგლებს გარედ გამოსვლას, ითხოვენ ბევრს და ამბობენ, რომ ამის უფლება მაქვსო. ესეც არა ნორმალური მოვლენაა და თვითეული მეთაური უნდა სცდილობდეს არ დაუშვას ასეთები და არ დაამახინჯოს წესდება.

მორიგეს მიერ თავისი საქმის შეგნებულად ასრულება და ამ მუშაობაში დახმარება მეთაურებისა და წითელ არმიელების მხრივ,—აი წესრიგის თავდები ყაზარმაში.

ს—ი.

# წითელი ყაზარმა ახალწვეულთა მოსვლის წინ.

## ჩვენც ვემზადებით სოფლად მუშაობისათვის.

მე-2 არტლეგიონი.

ტერნაწილებში მყოფი 1902 წელში დაბადებული წითელარმიელები ამ რამოდენიმე დღეში იქნებიან გაშვებული. ნაწილებში წინასწარ სწარმოებდა მიმავალ ამხანაგების მომზადება სოფლად მუშაობისათვის. ჩვენს ლეგიონში ეს მუშაობა კარგა ხანია დაიწყო. წითელარმიელები ენერგიულად ეკიდებოდნენ მეცადინეობას. გარკვეული იქნა ყველა საკითხები, რომლებიც კი გაშუქებული უნდა ყოფილიყო სოფლად. ...ევ რამოდენიმე დღე და ამხანაგებიც გაეშურებიან თავიანთ სოფლებისაკენ. ისინი ენერგიულად შეუდგებიან წითელი ყაზარმის დავალების სისრულეში მოყვანას და გვერდში დაუდგებიან ამას წინად შვებულებაში წასულ ამხანაგებს.

პ. ჩიტიანი.

## ვაღრმავებთ სამხედრო ცოდნას

მე-3 ლეგიონი.

...ლეგიონში ეს რამოდენიმე დღეა ...ც მოეწყო კურსები ზედმეტ მსა...ურთა უმცროს მეთაურთა სამხე...რო ცოდნის გაღრმავების მი...ით. კურსები მოკლე ვადიანია ...ა შეიცავს სულ ორ ჯგუფს.

1-ლ ჯგუფში მეცადინეობენ ზემეტი მსახური უმცროსი მეთაუ...ები, ხოლო მეორეში კი ასეულე...დან შერჩეული წითელ არმიე...ები.

მეცადინეობის დროს დიდი ...ურადღება ექცევა განსაკუთრებით სროლის საქმის შესწავლას და ინსტრუქციულ მუშაობას, რომ შესაფერად მომზადებული და გამოცდილი შევხვდეთ ახალწვეულებთან მეცადინეობას.

მსმენელების ინტერესები მეცადინეობისადმი ძლიერ დიდია. ყველა გულისყურით და მონდომებით ეკიდება მუშაობას.

კურსები შესძლებს დავალებული საქმის პირნათლად შესრულებას.

ს. პაპიაშვილი.

## მოვაწყვეთ ლენინის კუთხე.

მე-5 ლეგიონი.

...აღნიშნული ლეგიონის 1-ლ ...ეულში მხოლოდ ამ უკანასკნელად მოხერხდა ლენინის კუთხის შესაფერისად მოწყობა ...ამდე მართალია არსებობდა ...უთხე, მაგრამ თავის დანიშნულებას ის ვერც გარეგნული მოწყობილობით და ვერც მუშაობით ვერ ამართლებდა. ახალწვეულების შესახვედრ საზადისმა კი აიძულა ამხანაგები განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ კუთხისთვის. ამ ...ად ის უხრუნველყოფილია ლიტერატურით უხვად. მოდის ...ელა ქართული და ზოგიერთი რუსული გაზეთებიც. ლეგიონში არსებულ სემინარის მსმენელები დიდათ სარგებლობენ კუთხის ლიტერატურით. ყველა საჭირო სახელმძღვანელო მასალები იშოვება იქ ხშირად ეწყობა კუთხეში აგრეთვე საუბარი და კამათი ამა თუ იმ საკითხების შესახებ. ახალწვეულებს უკვე ამოქმედებული კუთხე დახვდებათ და ჩვენც ვეცდებით, რომ ისინიც გავყვენ აქამად მომუშავე ამხანაგების კვალს.

ვ. ნოზაძე.

## მომზადებული ვხვდებით.

მე 3 ლეგიონი.

ჩვენს ლეგიონში 3 ოქტომბრიდან დაიწყო სემინარის მეცადინეობა, რომელსაც მიზნათ აქვს დასახული მოამზადოს ჯგუფის ხელმძღვანელები. სემინარში ვირიცხებით სულ 22 კაცამდე. მეცადინეობა მიმდინარეობს ყოველ დღე სისტემატიურად. ყველა წევრები დაინტერესებული არიან, აქტიურ მონაწილეობას იღებენ სხვა და სხვა თემების გარჩევის დროს.

აქამდე მეცადინეობა ტარდებოდა თეორეტიულად, ეხლა კი დავიწყეთ პრაქტიკული მეცადინეობა რაც უფრო აღრმავებს ჩვენს ცოდნას. ახალწვეულებს მომზადებული ვხვდებით და გაუწევთ ხელმძღვანელობას ა. ლ. ქ. ქ. ჯგუფებს. მეცადინეობის მთელი ხნის განმავლობაში შინაარსიანი თემები გვეძლეოდა დასამუშავებლად, რამაც ნათელი წარმოდგენა მოგვცა ამა თუ იმ საკითხებზე.

მიხო.

## დაუბრუნდით მუდმივ ბინას

მე-5 ლეგ. მე-2 ათასეული.

საერთო ტერშეკრებიდან დაბრუნების შემდეგ, ჩვენი ათასეული გაემგზავრა მუდმივ სამუშაო ბინაზე (წერტზე). რამოდენიმე დღეა რაც ჩამოვედით, მაგრამ ყველაფერი მოვიყვანეთ წესრიგში და შეუდექით უკვე მეცადინეობას.

ვსწავლობთ სამხედრო პოლიტიკურ საგნებს. პოლიტიკური მეცადინეობა ტარდება საუბრების სახით.

წრეების საქმე ჯერ-ჯერობით არ არის მოგვარებული. მიღებულია ზომები მათ ჩამოსაყალიბებლად. მოვაწყვეთ უკვე ლენინის კუთხე. ერთი უხერხულობა მხოლოდ იმაშია, რომ არ მოგვდის გაზეთები სისტემატიურად, ეს გარემოება საგრძნობლად გვიშლის ხელს.

მეთაურებსა და წითელ არმიელებს შორის ძლიერ კარგი განწყობილება არსებობს. მომავალი მუშაობისათვის გაცხოველებულად სწარმოებს მეცადინეობა.

ვ. გოროზია.

## ჩვენი ცვალებადელი სოფლად

დანიშნულებს სისწორით ვასრულებთ

თითქმის ერთი თვე იქნება მას შემდეგ, რაც საერთო ტერშეკრებიდან გაგვისტუმრეს ცვალებადელები სოფლებში. ნაწილში ყოფნის დროს მრავალი გამოცდილება და ცოდნა მივიღეთ ყველამ. ამას გარდა წითელ ყაზარმამ განსაკუთრებული დავალებები მოგვცა სოფლად მოქმედებისათვის, რის სისრულეში მოყვანას მოსვლის თანავე შეუდექით.

პირველად ყოვლისა ხელი მივყეთ აგიტაციას ახლად გასაწვევ ახალგაზრდობის შორის. ვაცნობდით წითელი ჯარის მიზანს, დანიშნულებას, თუ ვის ინტერესებს ემსახურება ის, როგორი პირობებია ცხოვრებისათვის წითელ ყაზარმაში, როგორ ეპყრობიან წითელ არმიელს და სხვა. ამას გარდა ხშირად ვაწყობთ საუბრებს გლეხებთან სამხედრო მომზადების მნიშვნელობის შესახებ, ომის შემთხვევაში როგორ ზომებს მიმართავს ჩვენი მტერი და როგორი წესებით მოგვიხდება ჩვენ მის წინაალმდეგ ბრძოლა. ამიტომ როგორი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის სამხედრო მომზადებას და სხვა. ხშირად უკითხავთ მათ აგრეთვე გაზეთებს და ვაცნობთ ახალ ამბებს.

ყველაფერზე ყურადღებით გვისმენენ და გვიჯერიან კიდევაც. ვაპირებთ სამხედრო კუთხის დაარსებას. საჭირო მასალებს თანდათან ვაგროვებთ. გლეხები ახალგაზრდობა ძლიერ გვეხმარება ამ საქმეში. საერთოდ წითელი ჯარის ავტორიტეტი ძლიერ იზრდება ჩვენს სოფლებში.

დ. მ—დი.

## დავიცვათ მომჭირნეობა

6-ე ლეგიონი

ჩვენს ლეგიონში ტერ-შეკრების დროს ტერ-არმიელებს ურიგდებათ ხოლმე ზოგიერთებს ახალი ტანსაცმელი. შეკრების დამთავრების შემდეგ კადრის წ. არმიელები სარგებლობენ იმ შემთხვევით და ტერ არმიელებს ჩაბარების დროს უცვლიან შინელებს, ბატინკებს, შარვალ-ხალათებს და ქამრებსაც კი. საწყობი შეკრების დამთავრების შემდეგ ღებულობს დახეულ ტანსაცმელს, რითაც ზარალში ვარდება ლეგიონი.

დღეს თქვენ დაინახავთ უვადო შვებულებაში მიმავალ წ. არმიელებს ახალ შინელებში, ახალ ხალათებში და სხვა.

საჭიროა ყოველმა წ. არმიელმა შეგნებულად შეხვდეს ამ საკითხს და ბრძოლა გამოუცხადოს ამ არა ნორმალურ მოვლენას.

სირცხვილი იმ ამხანაგებს, ვინც ეგრე სჩადის და არ უფრთხილდება სახაზინო ქონებას.

შმაილა.

## ჩვენც შევასრულებთ დავალებას

მე-4 ლეგიონის მე-8 ასეული

ჩვენი ასეულის წითელ არმიელები ამ დღეებში წავლენ შვებულებაში. ამიტომ ამ რამოდენიმე კვირის განმავლობაში ჩვენი უფროსები უდიდეს ყურადღებას აქცევდენ ჩვენი არა მარტო სამხედრო მომზადების საქმეს, არამედ იმასაც თუ რისთვის უნდა მოგვეკიდა ხელი სოფლად დაბრუნების შემდეგ და როგორ გვეწარმოებია მუშაობა. ყველა საჭირო და აუცილებელ საკითხებში სათანადო განმარტებანი და ცოდნა მივიღეთ.

დავალებული გვაქვს ფართოდ გავაცნოთ სოფლის ახალგაზრდობას და საერთოდ მთელ მოსახლეობას წითელი ჯარის ცხოვრების პირობები და წითელი ყაზარმის წარმოებული მუშაობა. უნდა გადავსცეთ გლეხებს თუ როგორ ყურადღებას გვაქცევდენ ჩვენ ყაზარმაში პირველად მისვლისთანავე და რამდენი შრომა იქნა დახარჯული იმისთვის, რომ წერა-კითხვის მცოდნე და შესაფერად განვითარებული დავბრუნებოდით სოფლებს.

მეორე მხრივ ჩვენ ხელი უნდა შეუწყოთ ახალი სოფლის ორგანოების მუშაობას და მთელი ძალღონით ვეცადოთ მათ სწორ გზაზე დაყენებისათვის.

ჩვენ ფიცს ვსდებთ ჩვენი აღმზრდელების წინაშე, რომ ყველა ამ დავალებებს პირნათლად შევასრულებთ.

პატარავა.

## ჩვენც ვემზადებით

მე-2 მესანგრე ასეული

ჩამოვედით, თუ არა ბანაკიდან გაშვებული იქნენ გრძელვადიან შვებულებაში ცვალებადელები. ყაზარმა დაცალიერდა. მოველით ახალ ძალებს, რომლებიც ჩვენს ადგილს დაიჭერენ; ყველანი გაფაციცებით ემზადებიან ახალწვეულების შესახვედრათ, ყველა სიხარულით ელის იმ დღეს, როდესაც მოვა ჩვენი შემცვლელი ახალი ძალა, ყველანი ემზადებიან; ეწყობა კუთხეები, მზადდება შესახვედრი მასალები და სხვა.

მალე ახმაურდება მესანგრე ასეულის მიყუჩებული ყაზარმა, ჩვენც მივიღებთ ახალწვეულებს და გადავსცემთ მათ ყველა იმას, რაც დღემდე ჩვენს ამოცანას შეადგენდა; გაიღვიძებს მოწყენილი სამკითხველო, რომლიდანაც კვირაში ერთი წიგნის გამტანი არ არის სხვა და სხვა მზადების გამო, გამოცოცხლდება ყველა მუშაობანი, რომელიც ჯერ მზადებაშია. ჩვენი აქტიური მუშაობის გამო მეტი მომზადებული შევხვდებით 1904 წელში დაბ. ახალწვეულებს, ვიდრე გასულ წლეებს.

ახალწვეულებს მზად დახვდებათ ყველა ის, რაც ჩვენ თვით გავაკეთეთ გამოცხადების დღეებში.

მოვა თუ არა ახალი კადრი გადააბარებს თუ არა წითელ სკოლას ახალ მოწაფეებს, ჩვენც დაეიძრებით ჩვენს საკუთარ საქმეებზე, მაგრამ ჩვენი აღმზრდელი წითელი სკოლა მუდამ გვეხსომება.

გაუმარჯოს 1904 წელში დაბ. ახალი კადრის შეხვედრას.

შუქი.

## ...ა უნდა იცოდეს ახალწვეულმა

...რისთვის არის საჭირო გამაფრთხილებელი ზომები

...წითელი არმიის ყოველ წლიური გადახალისება, სამხედრო სამსახურში მორიგი გაწვევის გამო, ...დიდესი მოვლენაა სამხედრო ნაწილების ცხოვრებაში. ახალგაზრდა წითელ არმიელების მისვლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ...ს ნაწილების სანიტარული მდგომარეობისათვის. გამწვევ კომისიებში წარმოებული საექიმო შემოწმება, ვერ ჩაითვლება იმის პირობათ, რომ ნაწილში არ მივლენ ...იმე ავადმყოფობით დაავადებული ახალწვეულები.

ახალწვეული შეიძლება დაავადებული იყოს რაიმე ავადმყოფობით, მაგრამ ამის ნიშნები კი არ ...დეს. ან შესაძლებელია, რომ ის ...ავადმყოფდა საექიმო კომისიაში ...ვლის შემდეგ. დასასრულ ძლი... ადვილად შეიძლება რაიმე სენი შეეყაროს ახალწვეულს მოგზაურობის დროს, რადგან მგზავრობის დროს სხეული ძლიერ ჭუჭყიანდება, რის გამო თავს იჩენს ...ნარები და ღიერი, ხოლო თუ ...ნოდით მგზავრობდა ვინმე გა...დები სენით დაავადებული, შესაძლებელია მისგანაც გადასდებოდა რამე ახალწვეულს. ადვილად შეიძლება რაიმე სენის შეყ... აგრეთვე სადგურებში, სადაც ...რება ხალხი იყრის თავს. ხშირად ხდება, რომ ავადმყოფობა ტანში აქვს კაცს და ის მხოლოდ 10—14 დღის შემდეგ იჩენს თავს.

ამნაირად ახალწვეულს, რომ შეეყაროს ტიფი სახლში ან მგზავრობის დროს ნაწილში ისე მივა, რომ ამის ნიშნები რამოდენიმე დღეს არ გამოაჩნდება. აქ კი შეიძლება მთელ წითელ არმიელებს გადაადვას მან ეს სენი.

იყო შემთხვევები (სამოქალაქო ომის დროს), რომ ახალი შევსების მოსვლიდან რამოდენიმე დღის შემდეგ მთელი ლეგიონი ხდებოდა ავად პარტახტიანი ტიფით და მრავალი წითელ არმიელები კვდებოდა.

ამიტომ თითეული ჯარის ნაწილი ვალდებულია შესაფერი ზომები მიიღოს და არ დაუშვას ყაზარმაში რაიმე ავადმყოფობით დაავადებული ახალწვეული

### პირველად იზოლიატორი

ამ მიზნით ნაწილში მოსული ახალ შევსებას ათავსებენ ცალკე შენობაში, რომელიც სრულიად მოწყვეტილია წითელ არმიელთა საცხოვრებელ ყაზარმიდან. ამ შენობებს ეწოდებათ იზოლიატორები. (სიტყვა იზოლიაციიდან—განცალკევება). იზოლიატორი ანუ კარანტინი იყოფა ორ ნაწილად: სუფთად და უსუფთაოდ. ახლად მოსულებს ათავსებენ უსუფთაო იზოლიატორში.

აქ მათ სინჯავს საექიმო კომისია და არჩევს ერთმანეთისაგან ჯანმრთელსა და ავადმყოფებს. ავადმყოფებს აგზავნიან საავადმყოფოში სამკურნალოდ. იქვე გამოყოფენ ღეერით დაავადებულებს და ათავსებენ ცალკე შენობაში.

საექიმო გაშინჯვის შემდეგ, ახალწვეულებს ჰკრეჭენ თავს იზოლიატორში ან აბანოში. ამის შემდეგ კი ყველა ახლად მოსულები მიყავთ აბანოში.

ისე როგორც იზოლიატორი—აბანო იყოფა სუფთა და უსუფთაო განყოფილებათ. უსუფთაოში ახალწვეულები იხდიან ტანსაცმელს და გადასცემენ ნაწილიდან დანიშნულ წითელ არმიელს, რომელიც ღებულობს მას სიით. საცვლები და ტანსაცმელი იგზავნება სადეზინფექციო განყოფილებაში. დეზინფექციის შემდეგ წითელ არმიელების საკუთარი ნივთები ინახება ლეგიონის ცეიხგაუზში.

აბანოს პირველ განყოფილებაში გახდილი წითელ არმიელი შედის ტანის დასაბან განყოფილებაში, აქედან კი გასუფთავების შემდეგ მეორე-სუფთა განყოფილებაში, სადაც ის ღებულობს სუფთა საცვლებს და ტანსაცმელს. ამის შემდეგ ახალწვეულები მიყავთ იზოლიატორის მეორე-სუფთა განყოფილებაში.

### ისევ იზოლიატორში (სუფთა ნაწილი)

აბანოსა და იზოლიატორის ასეთი დაყოფა სუფთა და უსუფთაო ნაწილებათ, იმიტომ ხდება, რათა გასუფთავებული წითელ არმიელები არ მიეკარონ გაუსუფთავებლებს, რომლებიც უფრო ადვილად გადასდებენ ავადმყოფობას პირველთ. განსაკუთრებით ძლიერ საშიშია სუფთა ტანსაცმელზე მკბენარების გადასვლა, რომელიც ძლიერ უწყობს ხელს პარტახტიან ტიფის გავრცელებას.

სუფთა იზოლიატორში ახალწვეულები დაჰყოფენ ერთს ან ორ კვირას, იმის და მიხედვით იყო თუ არა ავად გახდომის შემთხვევა. აქ ექიმები ხელ ახლად ამოწმებენ ახალწვეულების ჯანმრთელობას; იმ შემთხვევაში თუ ექიმმა აღმოაჩინა ისეთი ახალწვეული, რომლის ჯანმრთელობისათვის შეუძლებელია სამხედრო სამსახურში ყოფნა აგზავნის მას საექიმო კომისიაში ხელახლა შესამოწმებლად.

თითეული წითელ არმიელის საექიმო შემოწმების შედეგები შეაქვთ ამავე წითელ არმიელის პირად სანიტარულ წიგნაკში, სადაც შემდეგ მთელი სამსახურის ხნის განმავლობაში იწერება, თუ რა ცვლილებები მოხდა მის ჯანმრთელობაში.

იზოლიატორის სუფთა ნაწილში უცრიან აგრეთვე მუცლის ტიფის საწინააღმდეგო საშვალების, ხოლო ხოლერის საშიშროების დროს კი-ხოლერის საწინააღმდეგო საშვალებას.

ვ. ვ.

# სამხედრო ქრონიკა

## სამხკორთა მუშაობის შესახებ ქ. ც. ლეგიონში.

საზაფხულო პერიოდის განმავლობაში ლეგიონის სამხკორთა წრე მხოლოდ სიტყვიერად არსებობდა და ფაქტიურად მუშაობა თითქმის არ სწარმოებდა მასში. ლეგ-სამხკორთა ორგანიზატორი არსად სჩანდა. ესკადრონებში პირველ ხანებში სამხკორთა მუშაობა შესაფერ დონეზე იდგა, ვინემ თვით ლეგიონში, მაგრამ საუბედუროდ ამჟამად არც ერთი სამხკორი არ მოიძებნება, რომ გაუწიოს ხელმძღვანელობა სამხკორთა ორგანიზაციას და დააყენოს თავის დონეზე. მეთაურები ხომ თავს არ იწუხებენ, მაგრამ საკვირველია ის, რომ პოლიტშემადგენლობაც გულგრილად უყურებს სამხკორთა წრეების მუშაობას.

არც ერთი კედლის გაზეთი არ გამოდის ამჟამად, რადგან არ არიან წითელარმიელები ჩაბმულნი სამხკორთა მუშაობაში. ერთი ძველი შვებული წითელარმიელი იწერება ლეგიონში, „რაც ლეგიონიდან წავედი გაზეთი „წითელ-არმიელი“ არ მინახავს, სამკითხველოში არ მოსდით, მაგრამ მე ეხლა უნდა გამოვიწერო ათი ცალი „წითელ-არმიელი“, რვა სამკითხველოსათვის და ორი კი სახლისათვის; ჩვენ ქოხ სამკითხველოსაც უნდა გამოვაწერიო გაზ. „წითელ-არმიელი“, იმიტომ, რომ იქ სწერია ყველა საჭირბოროტო საკითხების შესახებ და ჩვენი ნაწილის ცხოვრებაო“.

ასეა დაინტერესებული შვებული წითელარმიელები თავის გაზეთით. ჩვენ კი არა გვაქვს წრეები, რომ მომავალი წითელარმიელები ჩავაბათ სამხკორთა მუშაობაში, გამოვაწერიოთ თავიანთი სოფლებისათვის გაზეთები, გავარცელოთ გაზ. „წითელ-არმიელი“ ყველგან სოფლებში და ამით გავადიდოთ ჩვენი მეგობარი „წითელ-არმიელის“ ტირაჟი. საჭიროა ამ გულგრილობას ბოლო მოეღოს სწრაფად.

„ქურხული“.

# ᲛᲝᲡᲙᲔᲗ ᲜᲐᲙᲚᲣᲚᲔᲕᲐᲜᲔᲑᲐᲜᲘ

**მე-6 ლეგიონი.**

აგერ ერთი თვე სრულდება რაც რომ ჩვენს ლეგიონს სინათლე არ ღირსებია, რაც დიდათ ხელს უშლის და აბრკოლებს როგორც სკოლის გარეშე, აგრეთვე სასკოლო მუშაობასაც. წითელარმიელები იძულებულნი ხდებიან უსინათლობის გამო ტყუილ-უბრალოდ და უნაყოფოდ გაატარონ თავისუფალი საღამოს საათები.

იმედია სამნეო ნაწილის უფროსი მიაქცევს ამას ყურადღებას და ჩვენს ლეგიონს აღირსებს სინათლეს, რითაც საშვალება მოგვეცემა კვლავინდებურად განვაგრძოთ მუშაობა და ტყუილ უბრალოდ დრო არ დავკარგოთ.

შმაილა.

**ვის ევალება?**

2-რე ლეგიონის სამზარეულოსთან არის ერთი წყალსადენის მილი, სადაც აკრძალულია ჭურჭლეულობის რეცხვა. არვიცით სად გავასუფთაოდ ჩვენ ჩვენი ჭურჭლები სადილობისა და ვახშმობის შემდეგ. საჭიროა ყურადღებას მიაქცევდენ ამ გარემოებას ჩვენი მესვეურები და მიგვიჩენდენ ერთ ადგილს, სადაც შესაძლებელი იქნება გავასუფთავოდ ჩვენი ჭურჭლები.

ნ. ძ.

**გაგვინათეთ სამზარეულო და სასადილო**

მას შემდეგ რაც მე-3 ლეგიონი ჩამოვიდა ბანაკიდან, სამზარეულოსა და სასადილოში სინათლე არ გვღირსებია. ხშირად გვიხდება ბნელში ვახშმობა. საინტერესოა რატომ არ ღებულობს ლეგიონის კომენდანტი ამ გარემოების წინააღმდეგ საჭირო ზომებს. იმედია ლეგიონის ხელმძღვანელები მაინც მიაქცევენ ამას ყურადღებას.

ხიდისთავი.

# ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ

**აღწერის ჩატარების წესრიგი**

მოსახლეობის საკავშირო აღწერა ჩატარდება 1926 წლის 17 დეკემბერს. რომ მიღებულ იქნას სწორი ცნობები, საჭიროა მოსახლეობის სათვალავი შეფარდებულ იქნას ერთი დღისთვის. ამ დღეს სტატისტიკაში ეწოდება „კრიტიკული დღე“. დაკითხვა სწარმოებს „კრიტიკულ დღესთან“ ახლო დღეებში, მაგრამ განსაზღვრულ ვადაში.

ქალაქებში მთელ მოსახლეობის დაკითხვა უნდა დამთავრდეს 7 დღის განმავლობაში, ხოლო—სოფლის ადგილებში 14 დღეში. მოსახლეობის მთელი გამოანგარიშება ჩატარებულ იქნება „კრიტიკული დღისთვის“. იმისთვის, რომ ამ დღისთვის მიღებულ იქნას საჭირო მასალები, ყველა, 17 დეკემბერს შემდეგ დაბადებულები არ უნდა იქნან ჩაწერილი, ხოლო 17 დეკემბერს შემდეგ გარდაცვლილები რეგისტრაციის დღემდე ნაანგარიშევი იქნება როგორც ცოცხლები.

აღწერა წარმოებულ იქნება სპეციალურ პირების—რეგისტრატორების მიერ. თვითეულ რეგისტრატორს ექნება მოწმობა აღწერის უფლების შესახებ. თვითეულ მოქალაქეზე, ძუძუ წოვარა ბავშვების ჩათვლით, შევსებულ იქნება „პირადი ფურცელი“. ამ ფურცელში მიცემულ უნდა იქნას პასუხი 15 კითხვაზე. ავსებს ფურცელს რეგისტრატორი ან შეიძლება შევსებულ იქნას თვითონ მოქალაქის მიერ რეგისტრატორის მეთვალყურეობით.

რეგისტრატორი დაივლის თვითეულ ეზოსა და ბინას.

სოფლის ადგილებზე, სადაც დავლა ძნელია, დაკითხვა შეიძლება სოფლის ყრილობებზე.

მოსახლეობის საკავშირო აღწერა მეტად რთული და საპასუხისმგებლო ამოცანაა. აღწერილ უნდა იქნას დაახლოებით 142 მილიონი სული და თვითეულზე შევსებულ უნდა იქნას პირადი ფურცელი. პირადი ფურცლების შესავსებად მოწვეულია 170 ათასამდე პირი.

აღწერისა და დამუშავების საქმეზე სახელმწიფოს მიერ დახარჯული იქნება 10 მილიონ მანეთზე მეტი.

# ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲔᲑᲨᲘ

**ჩეხო-სლოვაკიის არმია**

ჩეხო-სლოვაკიის არმიის ინსტრუქციას აძლევს და ასწავლის ფრანგი ოფიცრები. ამიტომ უნდა აღინიშნოს რომ ის, სხვა არმიებთან ერთად და პირველ ყოვლისა, როგორც საფრანგეთის არმია ასრულებს ვერსალის საზავო ხელშეკრულების პირობებს.

ამ ხელშეკრულების მიხედვით ის ვალდებული იყო ჰყოლოდა 140 ათასიანი არმია, მაგრამ ჩეხო-სლოვაკიის არმია შესდგება ამ ჟამად 250 ათასი კაცისაგან.

აქედან სჩანს ჩეხო-სლოვაკიის გენერლების საომარი განწყობილება. ეს არმია შეადგენს თითქმის ქვეყნის მოსახლეობის 2 ნაწილს.

აგებულია და სწავლობს ჩეხოსლოვაკიის არმია ახალი მეთოდების მიხედვით. მსროლელ ოცეულში ორი ათეულია ავტომატიურ თოფებით. 2 დანარჩენი ათეული მსროლელი - გრანატმტყორცნელებია. მსროლელები შეიარაღებული არიან მანძლიხერის შაშხანებით და შვარცლოზეს ტყვიამფრქვევებით.

ფიქრობენ მთელი არმიის შეიარაღებას ათვაზნიან შაშხანითა და ახალი ტყვიამფრქვევებით, რომლებიც წუთში ისვრიან 500-მდე ტყვიას და არ მოითხოვენ გაცივებას.

ჩეხო-სლოვაკიას აქვს თავისი სამხედრო ქარხნები, რომლებიც ემსახურებიან არა მარტო ჩეხო-სლოვაკიის არმიას.

ომის შემთხვევაში ჩეხო-სლოვაკიას შეუძლია გამოიყვანოს 1 მილიონი 875 ათასი კაცი.

საცდელ მობილიზაციის დროს 1921 წელში, ჩეხო-სლოვაკიამ ჩაატარა მობილიზაცია ათი დღის ვადაში.

ჩეხო-სლოვაკიის არმია ერთი საუკეთესო გაწვრთნილ არმიათაგანია. არმიის სწავლებას ძალიან უწყობს ხელს ის გარემოება, რომ მოსახლეობის შორის ფართედაა გავრცელებული სპორტი.

ზ.

# ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲮᲜᲘᲙᲐ

**ადამიანი—მანქანა.**

ერთ საინტერესო ნაწარმოებს წარმოადგენს ჩიკაგოში (ამერიკა) ავტომატებისა და მანეკენების ფაბრიკა. ამ წარმოებას დაკავებული აქვს ორი დიდი კორპუსი. მასში მუშაობს 2000 მეტი კაცი, მას აქვს აუარება რთული მოწყობილობანი.

ავტომატი მანქანები, რომლებიც ადამიანის როლს შეასრულებენ მუშაობაში, ადამიანის დიდი ხნის ოცნების საგანია.

ფანტასტიური რომანისტები სწერდენ აუარება რომანებს, რომლებშიც გამოხატავენ ამის შესახებ თავის სურვილებს. ამ რომანებში აწერილი იყო თუ როგორ ასრულებენ მანქანები ადამიანის მაგიერობას.

თანამედროვე ტექნიკამ კიდევაც გაასწრო ამ მხრივ მეოცნებე რომანისტებს. ჰაეროპლანები, ურთულესი მანქანები, რადიო—და ყველა ესენი სიზმრადაც არ უნახავთ რამოდენიმე ათეული წლების წინად აღნიშნულ მწერლებს. თანამედროვე ტექნიკა ამ ჟამად იქეთკენ მიისწრაფვის, რათა შესცვალოს ადამიანი მანქანით, სადაც ეს შესაძლებელი იქნება.

**მანქანა—გაზეთის დამტარებელი.**

ფაბრიკა ავტომატის უზარმაზარი კორპუსი გაცხოველებულად მუშაობს. აუარება ინჟენერები და ათეული ათასი მუშებია დაკავებული საქმით, კაბინეთებში შეუწყვეტლად მუშაობენ გამომგონებლები.

აი ერთი ახალი ავტომატთაგანი, ავტომატი—გაზეთის დამტარებელი. ეს ადამიანის სიმაღლის ფიგურაა, ლურჯი ქუდით, რომელზედაც დაწერილია გაზეთის სახელწოდება. ფიგურაში მოთავსებულია ხმამაღლა მოლაპარაკე მანქანა და ფიგურა გაჰყვირის არა ადამიანური ხმით, რომელიც ჰფარავს მთელი ქალაქის ხმაურობას.

— უკანასკნელი ამბები! იყიდეთ გაზეთი! დიდი ხანძარი ნიუ-იორკში! იყიდეთ გაზეთი!

მსურველი ჩაუშვებს ფიგურის ჯიბის მზგავს ნახვრეტში გაზეთის ღირებულებას, ავტომატი აამოძრავებს ხელს და გაუწოდებს მყიდველს დაკეცილ გაზეთს. ნიუ-იორკის ერთ უდიდეს გაზეთის რედაქციამ გადასწყვიტა ასეთი ავტომატებით გაავრცელოს თავისი გაზეთი.

**სახლის მოსამსახურე.**

მეორე ავტომატი ასრულებს სახლის მოსამსახურის მოვალეობას. ის ისუნთქავს მტვერს, რეცხს იატაკს, ჭურჭლეულობას, სჭრის ხორცს, ასუფთავებსა და სჭრის მწვანილს, ერთი სიტყვით ყოველგვარ საქმეს ასრულებს სახლში.

გაჭადარავებულმა ინჟენერ—გამომგონებელმა, რომელიც აჩვენებდა ავტომატებს, შემდეგი განუცხადა ჟურნალისტებს:

— ჩვენი ამოცანაა, რაც შეიძლება მეტი მექანიზაცია მოვახდინოთ შრომაში, სადაც კი შესაძლებელი იქნება ადამიანის შეცვლა მანქანით. ჩვენ გვსურს და კიდევაც მივაღწევთ—შევქმნათ ავტომატები—პარიკმახერები, ფეხსაცმწმენდავები და სხვა. ჩვენთან შეუსვენებლად მუშაობენ გამომგონებლები ახალი ავტომატიური მანქანების გამოგონებისათვის. დადგება ის დრო, როდესაც შავი სამუშაოდან განთავისუფლებული ადამიანი, შესძლებს ხელი მოკიდოს მის შესაფერ გონებრივ სამუშაოს.

**სამხედრო ავტომატები.**

სამხედრო ავტომატებიდან საინტერესოა—ავტომატიური გუშაგი, რომელიც იძლევა შთანგს იმ წამსვე თუ ვინმე მიუახლოვდა განსაზღვრულ მანძილზე. შემდეგ ავტომატური დღიური—რომელიც რადიოს საშვალებით იტყობინება ამოკითხვის დაწყების შესახებ, სადილის დროს და სხვა. ამნაირად აუარება გამოგონებანი ხდება ამ უცნაურ ფაბრიკაში.

ბ. ა.

# ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲖᲔ

— ქოჩორიანცს. 1903 წ. დაბ. პირველ ხარისხის შეღავათებიანი თავისუფლდებიან, ამიტომ თქვენ ნაწილის საშვალებით მიმართედ მთავარ მიძღებ კომისიას.

— ხუბუანს. სატრაქტორო კურსებზე შესვლა დანიშნული აყო 1 ოქტომბრამდე.

— ელიაშვილს. ადგილი არ გენახებათ; თუ თავისუფალი იქნა მოგეცემათ.

— მასვე. პროფკავშირის წევრად არ ითვლებით, მხოლოდ სამსახურის გათავების შემდეგ აღდგენილ იქნებით მაშინვე.

— გიორგობიანს. თქვენ პირველ ხარისხის შეღავათი არ გეკუთვნით, ვინაიდგან ოჯახში არის შრომის უნარიანი თქვენი ძმა, რომლის მოვალეობას შეადგენს ოჯახის ყურადღება.

— გუბისწყლელს. თქვენი შეკითხვის შესახებ რედაქციას არავითარი ცნობა არ მოეპოება.

— გურძემიასპირელს. არამც თუ დაგიშვებენ, ვალდებული არიან დაგიშვან საშუალო მეთაურის გამოცდებზე, როგორც საშუალო სკოლა დამთავრებული.

— ტეხურისპირელს. თუ სამწერლო კურსები გაათავედ მაშინ იმსახურებთ სამ წელიწადს, თუ არა ორს.

— ყამარაულს. როგორც შვებულს იარაღის ტარების ნება არ გაქვთ. იარაღის ტარების ნებართვა უნდა აიღოთ შანაგან საქმეთა კომისარიატისაგან.

— კ—ძეს. ბინის ქირად თვითეულ კვ. მეტრში იხდით 20 კაპეიკს, 15 პროც. გამოკლებით, როგორც სამხედრო მსახური.

— ტორონჯაძეს. ბინის ქირად თვითეულ კვ. მეტრში იხდის თქვენი ოჯახი, როგორც წ. არმიელის რჩენაზე მყოფი, 4 კაპ.

— ზ—ძეს. წყლის ფულს თქვენ თვითონ იხდით.

— ორ—ძეს. ტერნაწილში გადაყვანილი არ იქნებით.

— სამხარაძეს. არ გეკუთვნით.

— ილოვს. დაგვიანებულია. გაისისათვის ემზადეთ.

— ხობუას. შეგიძლიათ.

— ხა—ლიას. პირველ ნოემბრიდან.

— შიკრიკს. ცნენი არ გეკუთვნით წერილების მოსატანათ.

— ო—შვილს. თქვენი ოჯახური მდგომარეობა მესამე ხარისხისაა, არ განთავისუფლებთ.

— № №. ერთი სამკუთხედი.

— გუგუშვილს. ხმარებისათვის ვარგისი მაზარა მოგეცემათ.

— სანდროს. არა.

— კეკელაშვილს. რომელიმე ორგანიზაციამ უნდა მიგავლინოთ.

— ქისფერს. 25—75 პროც. დაკლებულ ფასებში.

— მგზავრს. ითვლებოდით უბილეთო მგზავრად. გადაგახდევინებენ.

— ოქრუაშვილს. დას არ შეუძლია, ვინაიდან მას თავის წილი მზითვის სახით გათხოვების დროს წაღებული ქონია.

— შიოს. კი.

— პარტიულს. მიმართედ თქვენს კომუჯრედს.

— სალამურს. ოჯახური შეღავათებით არ სარგებლობთ, ვინაიდან და გყავთ 18 წლის

— თათა—შვილს. მხოლოდ სარგებლობდით ჯარში გაწვევის შემდეგ ერთი თვის განმავლობაში.

# ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ

ვ. ნოზაძეს. თქვენი კორესპონდენცია ექსკურსიის მოწყობის შესახებ არ გადის, დაგვიანებულია ძლიერ.

ალიოშას. წერილი—ბაგრატის ტაძარზე ექსკურსიის შესახებ, არ დაიბეჭდება. ასეთი იყო ჩვენს გაზეთში.

ი. ჭოჭუას. თქვენი წერილი—ოქტომბრის რევოლიუციის 9 წლისთავის შესახებ არ გამოგვადგა. არ გადის.

მაკარიძეს. კორესპონდენცია—მომავალ წითელარმიელებისადმი მეტად ზოგადი ხასიათისაა. არ დაიბეჭდება.

შონჯიაშვილს. თქვენი უკანასკნელი კორესპონდენციები არ ეხება საინტერესო საკითხებს. არ დაიბეჭდება.

კალაძეს. წერილი ახალწვეულებისადმი არ გადის. იყო ასეთი ხასიათის ჩვენს გაზეთში.

გოროზიას. კორესპონდენცია ახალსენაკის შესაკრებ პუნქტზე—დაგვიანებულია.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-2 ქ. მ. დ. ცალკე მესანგრე ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება პარტიის წევრად გადარიცხვის შესახებ შემდეგ ამხანაგს:

1) შავდია დავით ალექსანდრესძეს (მე-2 მესანგრე ასეულის მწყობრის თავი კ. პ. (ბ) კანდიდატი 1924 წლიდან)

თუ ვინმეს რაიმე უარყოფითი მოეპოებათ ამხ. შავდიას კ. პ. წევრად მიღებაზე გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში ამ განცხადების გამოქვეყნებიდან.

ხელ მოუწერელი წერილები არ მიიღება.

უჯრედ. პ. მ. მდივანი სიხარულიძე.

1-ლ ქართულ დივიზიის შტაბის და პოლიტგანყოფილების კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება კომპარტიის კანდიდატად მიღების შესახებ ამხ. ამხ. დიომიდე ნიკოლოზისძე ხვიჩიას და ივლიანე ივანესძე გეგეშიძეს.

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ ამ ამხანაგებზე გთხოვთ გვაცნობოთ ხსენებულ უჯრედში ამის გამოქვეყნების დღიდან ერთი კვირის განმავლობაში.

**ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲔ** ქუთაისის მუშკოპიდან მოცემული საწევრო წიგნაკი № 6602 მე-5 ლეგიონის ოცეულის თავის ი. შუალავას სეხელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.


**ᲒᲐᲖ. „ᲬᲘᲗᲔᲚ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲗᲐ**

**ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲗ!!!**

ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲗᲕᲔᲔᲑᲖᲔ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲡᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐᲨᲘ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲓᲘᲚ. 9 Ს. 3 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ ᲙᲕᲘᲠᲐ ᲣᲥᲛᲔ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ 8—10

გაზ. „წითელ არმიელი“-ს კანტორა.

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲠᲜᲘᲖᲝᲜᲨᲘ ᲛᲧᲝᲤ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲗ!!!**

ᲒᲐᲖ. „ᲬᲘᲗᲔᲚ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘ“-Ს ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲥᲡᲞᲔᲓᲘᲪᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲪᲔᲛᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲡ ᲙᲕᲘᲠᲐᲝᲑᲘᲗ ᲓᲘᲚᲘᲡ 8 ᲡᲐᲐᲗᲘᲓᲐᲜ 10 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ, ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲙᲘ ᲓᲘᲚᲘᲡ 8 ᲡᲐᲐᲗᲘᲓᲐᲜ ᲨᲣᲐᲓᲦᲘᲡ 2 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ, ᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲪᲔᲛᲐ ᲬᲧᲓᲔᲑᲐ.

ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲡᲗᲮᲝᲕᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲬᲐᲘᲦᲝᲜ ᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲘ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡᲐ.

გაზ. „წითელ არმიელი“-ს რედაქცია.


ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კაცხოველის 1. № 3. დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ადამაძე.